ბოლშევიკი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.კ.პ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და ს.კ. ახკის ორგანო

ტელეფონი ნომ. რედაქტორის—14—76, რედ. მდივნების—28—17, სამდივნოსი—10—58, მთა. კორექტორის—8—81.

დღეს ნომერში:

— ს.კ.კ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება
— „პრავდა“-ს წერილი
— მსოფლიო პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ ეკონომიურ კონფერენციაზე

№ 138 (3694) შაბათი, 17 ივნისი 1933 წ. № 138 (3694)

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის, საკოლმეურნეო უჯრედის და პოლიტგანყოფილებების და რაიკომების ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ

ს.კ.კ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციული პერიოდი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შექმნაში ამჟამად ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად. ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, პოლიტგანყოფილებებში უკვე გაიგზავნა 10.139 სპეციალურად შერჩეული პარტიული მუშაკი, მოწყობილია 2.776 პოლიტგანყოფილება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების 2.019 პოლიტგანყოფილება. მართალია, საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შევსების პროგრამა ჯერ არ არის დამთავრებული. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ეხლა უკვე აღარ წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის პირველი შედეგები საგანმფხვრელო თვისებ მომზადების და ჩატარების პერიოდში გვიჩვენებენ, რომ პოლიტგანყოფილებანი ნამდვილად ხდებიან პარტიის უმნიშვნელოვანეს ბერკეტებად კოლმეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციულად განმტკიცების კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან მათი გაწმენდის, კოლმეურნეობებში კომუნისტების და კომკავშირელების დამორაზმავი როლის გაძლიერების და სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში. პოლიტგანყოფილებანი ხდებიან საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო მოწინავე ელემენტების შემჭიდროების ნამდვილ ცენტრებად.

სოფლად მუშაობის ახალ პირობებში, რომლებსაც ახასიათებს საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო გამაგრებაზე გადასვლა მეურნეობის კერძო ფორმასთან ბრძოლაში და კლასობრივი მტრის ძალების განადგურება კიდევ უფრო იზრდება პოლიტგანყოფილებათა მასიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელობა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის შემდგომ გაწმაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს პარტიულმა საკოლმეურნეო უჯრედებმა, როგორც უმნიშვნელოვანესმა რგოლმა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში. სოფლად პარტიული ორგანიზაციების არსებული წყობა, უმთავრესად ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით, ვერ უზრუნველყოფს სოფლის უჯრედების ნამდვილად მობრუნებას საკოლმეურნეო წარმოების პრქტიკული საკითხებისაკენ და უმთავრესობის დარაზმას კოლმეურნეობათა შიგნით პარტიულ-კომკავშირული ბირთვის გარშემო. სოფლის ტერიტორიალური უჯრედები, რომლებიც შესდგებიან კოლმეურნეობებში და, უმთავრესად, სასოფლო დაწესებულებებში (საბჭო, სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სხ. ფოსტა, მილიცია, სასამართლო, სკოლა და სხ.) მოწყვეტილ კომუნისტებისაგან, ცუდად არიან დაკავშირებული კოლმეურნეობებთან და ცოტა ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობათა საწარმოო ცხოვრებას. პარტიის რაიკომები, არა აქვთ რა მათ უშუალო კავშირი კოლმეურნეობათა კომუნისტებთან და ეურდნობიან რა თავის მუშაობაში სოფლის ტერიტორიალურ უჯრედებს,, საქმით მოწყვეტილი ხდებიან კოლმეურნეობათა უშუალო ხელმძღვანელობისაგან, საკოლმეურნეო აქტივისაგან და კოლმეურნეთა მასებისაგან. ამ გარემოებაში იმალება იმის მიზეზები, რომ მთელი რიგი რაიკომები იჩენენ არა სწორ, ხოლო ზოგჯერ კი პირდაპირ არა პარტიულ დამოკიდებულებასაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებების მიმართ.

სოფლად მუშაობის ახალი პირობები, კონკრეტული მიდგომა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებისადმი მოითხოვენ, რათა შეიქმნას კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული მტკიცე საწარმოო პარტიული უჯრედები, რომლებიც უშუალო განხორციელებას იღებენ წარმოებაში და რომლებსაც აქვთ უნარი განახორციელონ კოლმეურნეობის საწარმოო ცხოვრების ყოველდღიური ხელმძღვანელობა.

სოფლის მუშაობის ახალი პირობები მოითხოვენ, რომ შემდეგ აღმოიფხვრას უთანხმოებანი რაიკომებსა და პოლიტგანყოფილებებს შორის და შეტანილ იქნას გარკვეულობა მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკა ადგენს:

1 გარდაიქმნას არსებული ტერიტორიალური სასოფლო პარტიული ორგანიზაციები იმ გვარად, რომ სასოფლო დაწესებულებათა ტერიტორიალურ უჯრედებთან ერთად არსებობდენ სპეციალური საკოლმეურნეო საწარმოო უჯრედები. ამ მიზნით მოეწყოს თვითეული კოლმეურნეობაში იქ მომუშავე კომუნისტების შემადგენლობით დამოუკიდებელი საკოლმეურნეო საწარმოო უჯრედი ან საკანდიდატო ჯგუფი, რომელიც კოლმეურნეობაში მოიპოვებს პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთაო რაოდენობა, ამასთან როცა კოლმეურნეობაში არ არის კომუნისტების საჭირო რაოდენობა—მოცემულ კოლმეურნეობის წევრი—კომუნისტები—ორგანიზაციულად გამოიყოფიან სასოფლო ტერიტორიალური პარტიული უჯრედიდან და, რაზმავენ რა თავის გარშემო კოლმეურნეობის წევრ თანამგრძობებს და კომკავშირელებს,—შეადგენენ კოლმეურნეობის პარტიულ-კომკავშირულ ბირთვს; იმ კოლმეურნეობებში კი, სადაც არ არიან კომუნისტები, ეწყობა თანამგრძნობთა ჯგუფი მასზე სპეციალურად მიმაგრებულ პარტორგანიზატორის მეთაურობით.

2 კომუნისტები, რომლებიც მუშაობენ მოცემულ სოფელში, მაგრამ არ მუშაობენ კოლმეურნეობაში (სასოფლო საბჭო, კოოპერაციის, სკოლის, საავადმყოფოს, ფოსტის, მილიციის და სხვ. მუშაკები) ერთიანდებიან ტერიტორიალურ სასოფლო პარტიულ უჯრედებში.

3 საკოლმეურნეო უჯრედი მუდმივ საწარმოო ბრიგადებში აწყობს პარტიულ ჯგუფებს, როცა ბრიგადაში არის არა ნაკლებ 3 კომუნისტისა და გამოყოფს პარტორგანიზატორს, როცა ბრიგადაში კომუნისტების რიცხვი სამზე ნაკლებია; იმ ბრიგადებში კი, რომლებსაც არ ყავთ არც ერთი კომუნისტი, საკოლმეურნეო უჯრედი გამოყოფს პარტორგანიზატორად უჯრედის წევრებს, რომლებსაც სპეციალურად ამაგრებს ბრიგადებზე.

4 საკოლმეურნეო უჯრედები, კანდიდატთა ჯგუფები და თანამგრძნობთა ჯგუფები იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მუშაობენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელობით და ასრულებენ, როგორც მათთვის სავალდებულოს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების დირექტივებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების საკითხების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის 1933 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილებით. სოფლის ცხოვრების ყველა დანარჩენ საკითხებზე (საბჭოთა აღმშენებლობა, ფინანსები, განათლება, პროპაგანდა და სხვ.) ამ კოლმეურნეობათა უჯრედებს ხელმძღვანელობას უწევენ რაიკომები, ისე როგორც რაიკომები უწევენ ხელმძღვანელობას იმ კოლმეურნეობათა ტერიტორიალურ უჯრედებს და საწარმოო უჯრედებს, რომლებსაც მომსახურეობას არ უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მაგრამ უკვე უკლებლივ ყველა საკითხებზე.

5 პოლიტგანყოფილებანი აძლევენ ინსტრუქციებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის საკოლმეურნეო უჯრედებს და ამოწმებენ მათ მუშაობას, აწარმოებენ საკოლმეურნეო უჯრედთა მდივნების მოხსნას და გადაყვანას, ხელმძღვანელობას უწევენ უჯრედთა ბიუროების გადარჩევას, ირევიზენ საკ. კ. პ. (ბ) და საკ. ა.კ.კ.კ.-ის საკოლმეურნეო უჯრედების მდივნების, პარტორგების და ბრიგადების თათბირებს, პარტაქტივის კრებებს, კომუნისტების და კომკავშირელების საერთო კრებებს კოლმეურნეობებში, ამასთან ამ კოლმეურნეობათა კომუნისტების და კომკავშირელების გადაყვანა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის გარეშე არ შეიძლება მოხდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებასთან შეუთანხმებლად.

6 უჯრედების ხელმძღვანელობის ხაზით მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის უჯრედის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის კოლმეურნეობათა პარტიული უჯრედების მდივნების მოხსნის, შეცვლის და გადაყვანის შესახებ, პოლიტგანყოფილება აწოდებს ინფორმაციას რაიკომს, ამასთან უთანხმოების შემთხვევაში საკითხს სწყვეტს სოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პოლიტსექტორის უფროსთან ერთად.

7 მუშაკები, რომლებსაც გზავნიან სარაიონო, სოლქო და სამხარეო ორგანიზაციები, იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის კოლმეურნეობებს და პარტიულ უჯრედებს მასიურ სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარების საქმეში, იგზავნებიან პოლიტგანყოფილებათა მეშვეობით და მუშაობენ მათი მითითებებით.

8 პარტიაში მიღების დამტკიცებას და პარტიიდან გარიცხვას, პარტიის წევრთა და კანდიდატთა, აგრეთვე თანამგრძნობთა ალრიცხვას და საწევრო გადასახადის შეგროვებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის კოლმეურნეობებში აწარმოებს პარტიის რაიკომი, ამასთან პოლიტგანყოფილებანი ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ რაიკომებს ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება.

9 პოლიტგანყოფილებების და რაიკომების მუშაობის მეტი შეთანხმების მიზნით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და ყველაზე უფრო მსხვილ საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსები შეყვანილ უნდა იქნან რაიკომების ბიუროების შემადგენლობაში, ხოლო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორთა უფროსები შესაფერისად შეყვანილ უნდა იქნან პარტიის სოლქო კომიტეტების (სამხარეო კომიტეტების, რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტების) ბიუროების შემადგენლობაში. ამასთან სასურველია რაც შეიძლება ხშირად ხდებოდეს რაიკომების მდივნების და სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსების საერთო გამოსვლა და გადაწყვეტილებათა ერთად გამოტანა, რომლებიც გამოშვებულ უნდა იქნას მათი საერთო ხელმოწერით.

10 მოეწყოს 1933 წლის განმავლობაში თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებაში პატარა საერთო ხელმისაწვდომი გაზეთის გამოცემა და შეტანილ იქნას პოლიტგანყოფილებათა შტატში გაზეთის რედაქტორის თანამდებობა.

11 შეტანილ იქნას პოლიტგანყოფილების შტატში ქალთა შორის მოსმუშავე (ქალთა ორგანიზატორის) სპეციალური მუშაკის თანამდებობა.

12 2—3 თვის განმავლობაში მოეწყოს თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებასთან წიგნისა და გაზეთების კიოსკი.

13 სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებზე 2.500 მოძრავი კინოს მიმაგრება, რაც ნავარაუდევია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილებით, დამთავრდეს ა. წ. 1 აგვისტოსათვის.

14 წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომის და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველობებს ცეკას სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან ერთად დაამუშაონ ღონისძიებანი სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა აგრონომიული მომზადებისათვის (აგროცნობარები, აგროლიტერატურა, დაუსწრებელი სწავლება).

საკ. კ. პ. (ბ) ცეკა, აღნიშნავს რა ხაზგასმით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უდიდეს მნიშვნელობას სოფლად ახალი წყობილების განმტკიცების საქმეში, ავალებს პარტიის საოლქო და სარაიონო კომიტეტებს აღმოუჩინონ ამ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება.

9 ათასი სტუდენტი

ს.ას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებში

მოსკოვი, 15 ივნისი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე **სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნება 9 ათასი სტუდენტი.** საკავშირო მიწსახკომის დადგენილებით ახალი შევსება შეიქნება სოფლის მეურნეობის ძირეულ მუშაკებისაგან (დაახლოებით 8 ათასი კაცი). სტუდენტები სწავლების პერიოდში განთავისუფლებულნი იქნებიან სას.-სამ. წარმოებისაგან (ადს).

საქალაქო ტრანსპორტის საკავშირო კონფერენცია

კიევი, 15 ივნისი. 16 ივნისს გაიხსნება საქალაქო ტრანსპორტის საკავშირო კონფერენცია, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობას 300-მდე დელეგატი. კონფერენცია გაეხილავს მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის კიევის, ტფილისის და სხვ. საწარმოო ცენტრების საქალაქო ტრანსპორტის მდგომარეობის და განვითარების საკითხებს (ადს).

ჯ. მატერნი გაფრინდა ალიასკისაკენ

ხაბაროვსკი, 15 ივნისი. გუშინ, 22 საათსა და 30 წ. მოსკოვის დროით ამერიკელი მფრინავი **ჯენს მატერნი** გაფრინდა ალიასკისა კენ. (ადს).

დაიწყო სომხეთის დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი ყრილობა

ერევანი, 15 ივნისი. 15 ივნისს დაამთავრა მუშაობა სომხეთის დამკვრელ კოლმეურნეთა პირველმა ყრილობამ, რომელმაც გასტანა 2 დღე. სადამის სხდომაზე კონფერენციაზე გამოვიდენ სომხეთის სახკომეურნეობის სახკომის თავმჯდომარე ამხ. **ტერ-გაბრიელიანი**, სომხეთის კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. **ამროფიანი**, პარტიის ლენინაკანის რაიკომის მდივანი ამხ. **პაპიკ მკრტჩიანი**. საბჭოთა მეურნეობების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მისალმებით გამოვიდენ მეურნეები: **შირვანზადე, აზატ ვშტუნი, ნაირი ზოროანი.**

ყრილობამ მიმართა მოწოდებით სომხეთის ყველა კოლმეურნეებს ჩაებან სოციალისტურ შინდარების შეჯიბრებაში და ბოლშევიკურად ჩაატარონ მოსავლის მოკლე-დამუშავების და აღების კამპანია (ადს).

კამპანია ჰიტლერის წინააღმდეგ გერმანიაში

ვენა, 14 ივნისი. მმართველი პარტიები გერმანიის მიერ ოთხ სახელმწიფოს პაქტის წინასწარ მიღებას იყენებენ ჰიტლერის მთავრობაზე თავდასხმისათვის, ბრალს სდებენ რა მას **„გერმანიის ხალხის ღალატში“.**

ხეიმვერის ხელმძღვანელმა **შტრემპერგმა** თავის სატყვაში განაცხადა, რომ ბრძოლა, რომელსაც ავსტრიაზე აწყობენ, წარმოადგენს ბრძოლას არა გერმანიის წინააღმდეგ, არამედ „გერმანიის ხალხის მატლუნებელთა“ წინააღმდეგ, რომელთაც „უნდათ მოსპონ დიდი გერმანიის იდეა და შექმნან დიდი პრუსია“.

სამხედრო მინისტრი ვოგუენი ნაციონალ-სოციალისტებს ემუქრება სასჯელ წესების შემოღებით, თუ ისინი არ შესწყვეტენ ტერორისტულ აქტებს (ადს).

ყოველმხრივ შეუნყოთ ხელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებს

„პრავდა“-ს მკითხველობისთვის ნაწილობრივ უკვე ცნობილია საქმენი – საგმირონი **რუდნიანსკის** რაიკომის მდივნის ფედოროვის, რომელმაც დიდი ენერგიით დაიწყო ლაშქრობა რაიონის სამი პოლიტგანყოფილების წინააღმდეგ. ამ გულფიცხ ადმინისტრატორმა, რომელიც, ალბად, არ ეთანხმება ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებს სამანქანო – სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციის შესახებ, გადასწყვიტა: „ან კანონი, ან მეო“! მაგრამ პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა არც თუ ისე ადვილია. ასეთი ფანდით სწრაფად გამოაშკარავებ თავის ოპორტუნისტულ ბუნებას. საჭირო ხდება შემოვლითი გზის არჩევა, ნიღაბის აფარება, შეპარვით ძოქმედება.

— არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, — მსჯელობს ფედოროვი. — რუდნიანსკის რაიონში მე სრული ბატონ – პატრონი ვარ!

შეცდინის გმირის მსგავსად, რომელიც მისმავე მოქმედებამ თვითან მოიყვანა განცვიფრებაში, იგი მიმართავს დასმენას. გაზეთ **„კოლხოზნაია პრავდა“-ს** რედაქტორის პ.სკრიპნიკის ლოცვა - კუთხევით ფედოროვი, ფსევდონიმს ამოფარებული, ბრალს სდებს პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელებს ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში: „პარტიული წესის ძირითად ჭიშმარიტებათა“ გაუგებლობა, არა თავის ფუნქციებში შეიხრება, თესვის კამპანიის ჩაშლა, საჩივრების ძიება კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან და სხვ.

ბინძური მეთოდებით პოლიტგანყოფილებათა მუშაკებისათვის ჩირქის მოცხების შემდეგ, იგი მათთან აწარმოებს ინტენსიურ მიმოწერას, რათა თავისი გაიტანოს: გადაქცეის პოლიტგანყოფილებანი რაიკომის დამშმარე აპარატად.

— თქვენ საკმაოდ ვერ გაგიგიათ ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის დადგენილება პოლიტგანყოფილებათა ძესახებ, — ეუბნება იგი პარტიის მიერ შემოწმებულ მტკიცე ბოლშევიკებს.

პოლიტ განყოფილებათა შესახებ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით პარტიის წესდება არ გაუქმებულა, არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრით მთლიანად რჩება.

ასე ა ამხ. ფედოროვს პარტიის გადაწყვეტილება პოლიტ-განყოფილებათა ორგანიზაციის შესახებ. — „არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი“! რას დაიდევს იგი პარტიის დასკვნას იმის შესახებ, რომ ახლანდელ პირობებში, როცა მძიავედ სდგას **თვითეული** კოლმეურნეობის კონკრეტულ ხელმძღვანელობის საკითხი, **მარტო ტერიტორიული პრინციპი პარტიული ორგანიზაციის აგებაში საკმარისი არ არის.** იგი უნდა შეიცვლოს და შევსებულიცაა **საწარმოო პრინციპით** — პოლიტ - განყოფილებათა ორგანიზაციით, რომელთა უფროსები **მთლიანად ანხორციელებენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და მის მიერ სამსახურის გასაწევ კოლმეურნეობათა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას და სავსებით პასუხისმგებელნი არიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის.** (ცეკას და ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმის რეზოლუცია).

რას დაიდევს იგი პარტიის დასკვნას იმის შესახებ, რომ **„სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი უშუალოდ ემორჩილება სამხარეო. (სოლქო) სამიწათმოქმედო სამმართველოს, ნაციონალური რესპუბლიკების მიწსახკომებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორს და პასუხისმგებელია მის წინაშე თავის მუშაობაში“.**

ასეთია პარტიის რუდნიანსკის რაიკომის მდივნის ნამოღვაწარის სია. და ყველაფერ ამას სჩადიან იმ ანგარიშით, რომ მოსკოვამდე შორსაა, ჩვენამდე ვერ მოახწევენ, იქნებ შევძლოთ პარტიის გადაწყვეტილებისათვის გვერდის ავლაო. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერიდან სჩანს, თუ როგორ სამარცხვინოდ დამთავრდა რაიკომის და მისი მდივნის უსახელო ლაშქრობა პოლიტგაყოფილებათა წინააღმდეგ. (იხ. ქვემო ცოლის სამხარეო კომიტეტის დადგენილება).

და თუ ჩვენ ერთხელ კიდევ მივაქცევთ ყურადღებას ამ. პარტიულ პრაქტიკაში აღმოშფოთებელ ფაქტებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი **სრულიად არ არის გამონაკლისი, და ჩვენ მოგვიხდება დიდი მუშაობის ჩატარება, რომ ძირშივე აღვკვეთოთ ყოველგვარი ახალი ცდა ჩაშალონ პარტიის გადაწყვეტილება პოლიტგანყოფილებათა მუშაობის შესახებ.**

მოკლე ხანმა, რამაც განვლო პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციის დღიდან, დაგვანახა, რომ მათი სახით პარტიამ მოიპოვა კოლმეურნეობათა სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების და კულაკური და მავნებლური ელემენტებისაგან მათი გაწმენდის ნამდვილად ბოლშევიკური ბერკეტები. პოლიტგანყოფილებათა საშუალებით პარტიამ **გადაჭრით გააძლიერა თავისი კავშირი კოლმეურნეთა ნამდვილ მასებთან,** რომელიც უნარიანი ხელმძღვანელობის დროს გვიჩვენებენ შრომითი ენტუზიაზმის ნიმუშებს.

დროს უცხადებს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექტორს, რომელმაც **პოლიტგანყოფილების უფროსის წინადადებით არ გაუშვა ავტომობილი — ერთად-ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურში.**

ლეპეტინინსკის რაიკომი პოლიტგანყოფილებასთან შეუთანხმებლად ხსნის იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რომლებსაც მომსახურებას უწევს როგაჩისკის სამანქანო სატრაქტორო სადგური.

ბუნებრივია, რომ ასეთი ფაქტები **გადაწყვეტ წინააღმდეგობას აწყდება პოლიტ - განყოფილებათა მხრით,** მაგრამ ეს ფაქტები ახდენენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშაობის დეზორგანიზაციას და ამცირებენ მათ პასუხისმგებლობას როგორც საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, ისე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობათა კადრების მდგომარეობისათვის.

წინაალმდეგობის გაწევა პარტიის გადაწყვეტილებისათვის პოლიტგანყოფილებათა შესახებ არა მარტო პარტიული ბიუროკრატის უკმაყოფილებისა იმით, რომ გამოჩნდა, თურმე, კომუნისტი, რომელიც არ ემორჩილება რაიკომს, და კიდევ ისეთი, რომელსაც სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს საკოლმეურნეო უჯრედს. **პოლიტგანყოფილებებისადმი დამოკიდებულების საკითხში აშკარად მუღაბნდე-ბა ბრძოლა სოფლის ხელმძღვანელობის ძველ და ახალ მეთოდებს შორის.** რაიკომების ზოგიერთ მუშაკს—უმთავრესად იმათგანს, ვინც თავის თავს უპირისპირებს პოლიტგანყოფილებებს ეშინია, რომ ნამდვილ ორგანიზატორ - ბოლშევიკს. პოლიტ - განყოფილების მუშაკს თვით თავის მუშაობის ფაქტით შეუძლია ამხილოს დეფექტები რაიონის ზოგიერთი ახლადელი ხელმძღვანელის მუშაობაში, შეუძლია გამოააშკარაოს ძველი მტკივნეული ნაწარეები, მოკლედ ეშინია თვით-კრიტიკის.

უეჭველია, რომ პოლიტგანყოფილებებისადმი ანტიპარტიულ, დამოკიდებულებისათვის რაიონებში პასუხისმგებელნი არიან **სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციები.** დამახასიათებელია, რომ ყველაზე მეტ გაუგებრობას პოლიტ განყოფილებათა გარშემო ადგილი აქვს ისეთ მხარეებში, როგორიცაა **ჩრდილოეთ - კავკასია და ქვემო ვოლგა,** რომელთაც ვერ დაუძლევიათ ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. და ეს შემთხვევითი როდია. თვით ჩამორჩენა არის იმის შედეგი, რომ არ ესმით ახალი ვითარება სოფლად, არ აქვთ შეგნებული სოფლად ხელმძღვანელობის გაუწონის საკოლმეურნეო უჯრედის. **პოლიტგანყოფილებებისადმი დამოკიდებულების საკითხში აშკარად მუღაბნდებაბრძოლა სოფლის ხელმძღვანელობის ძველ და ახალ მეთოდებს შორის.** რაიკომების ზოგიერთ მუშაკს—უმთავრესად იმათგანს, ვინც თავის თავს უპირისპირებს პოლიტგანყოფილებებს ეშინია, რომ ნამდვილ ორგანიზატორ - ბოლშევიკს. პოლიტ - განყოფილების მუშაკს თვით თავის მუშაობის ფაქტით შეუძლია ამხილოს დეფექტები რაიონის ზოგიერთი ახლადელი ხელმძღვანელის მუშაობაში, შეუძლია გამოააშკარაოს ძველი მტკივნეული ნაწარეები, მოკლედ ეშინია თვით-კრიტიკის.

უეჭველია, რომ პოლიტგანყოფილებებისადმი ანტიპარტიულ, დამოკიდებულებისათვის რაიონებში პასუხისმგებელნი არიან **სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციები.** დამახასიათებელია, რომ ყველაზე მეტ გაუგებრობას პოლიტ განყოფილებათა გარშემო ადგილი აქვს ისეთ მხარეებში, როგორიცაა **ჩრდილოეთ - კავკასია და ქვემო ვოლგა,** რომელთაც ვერ დაუძლევიათ ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. და ეს შემთხვევითი როდია. თვით ჩამორჩენა არის იმის შედეგი, რომ არ ესმით ახალი ვითარება სოფლად, არ აქვთ შეგნებული სოფლად ხელმძღვანელობის გაუწონის საკოლმეურნეო უჯრედის. **პოლიტგანყოფილებებისადმი დამოკიდებულების საკითხში აშკარად მუღაბნდებაბრძოლა სოფლის ხელმძღვანელობის ძველ და ახალ მეთოდებს შორის.** რაიკომების ზოგიერთ მუშაკს—უმთავრესად იმათგანს, ვინც თავის თავს უპირისპირებს პოლიტგანყოფილებებს ეშინია, რომ ნამდვილ ორგანიზატორ - ბოლშევიკს. პოლიტ - განყოფილების მუშაკს თვით თავის მუშაობის ფაქტით შეუძლია ამხილოს დეფექტები რაიონის ზოგიერთი ახლადელი ხელმძღვანელის მუშაობაში, შეუძლია გამოააშკარაოს ძველი მტკივნეული ნაწარეები, მოკლედ ეშინია თვით-კრიტიკის.

ტიხორეცკის რაიონში (ჩრდილოეთ კავკასია) უსულგულოდ, ბიუროკრატიულად ეკიდებიან პოლიტგანყოფილებათა მუშაკების ოჯახთა მომარაგებას. ოჯახები არ არიან მიმაგრებულნი განმანაწილებლებზე და ულუფას არ ღებულობენ. პოლიტგანყოფილებათა მუშაკების მომართვებს მომარაგების რაიონული განყოფილება დებს რეზოლიუციებს: „ფონდები არ არის“, მაშინ როცა ულუფა მოპოვება ბაზაზე, ხოლო რაიკავშირის დამამზადებელ კანტორას განზრახვა აქვს მიღებული პროდუქტები **გამოიყენოს დეცენტრალიზებულად** დამზადებების დასაქონლიანებისათვის. რაიკომის მდივანი **ამხ. ლიაშენკო** პოლიტგანყოფილებათა მუშაკების მიერ არა ერთხელ გაგზავნილ მიმართვაზე უპასუხებს: ახლა ამისათვის არ გვცალიაო. და არაფრით არ ეხმარება.

ბრივნოვეცკის რაიონის ხელმძღვანელებმა, რომლებიც მხილებულ იქნენ — „პრავდა“-ს ფელეტონში „ბრივნოვეცკის ჯაზე თვალის ახვევისათვის (იხ. პოლიტგანყოფილების უფროსის წერილი, „პრავდა“-ს № 143), აქაც ისახელეს თავი. პოლიტგანყოფილების მუშაკებს არ აძლევენ არა მარტო პროდუქტებს, არამედ მარილს და ასანთსაც. პოლიტგანყოფილების მუშაკები აქ ზედმეტ ხალხად ითვლებიან.

მხოლოდ გუშინ მივიღეთ **მცირეყაბარდოს** სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. კასრაძის დეპეშა, რომელშიაც იგი იუწყება, რომ რაიკომის მიერ პოლიტგანყოფილების დისკრედიტაცია ანტიპარტიული აქტების ხასიათის ღებულობს. აქტივს ეუბნებიან, რომ თესვის მხრით ჩამორჩენაში დამნაშავეა პერსონალურად პოლიტგანყოფილების უფროსი. პოლიტგანყოფილების მუშაკებს წაართვეს სასადილო და, ბოლოს, დაიკავეს პოლიტგანყოფილების უფროსის ბინა, ხოლო მისი ნივთები გამოყარეს.

განა საჭიროა პოლიტგანყოფილების მუშაკების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების დამასტურებელი უფრო მკაფიო ფაქტები! და განა შეუძლია რაიონულ ორგანიზაციის, პირველ რიგში რაიკომის მდივნებს, იმედი იქონიონ, რომ პარტია ამას დაუსჯელად დატოვებს, რომ იგი მოითმენს საუკეთესო ბოლშევიკების მუშაობის საბოტაჟს, რომელთაც მინდობილი აქვს სოციალისტური მშენებლობის უალრესად საპასუხისმგებლო უბანი.

რაც შეიძლება სწრაფად, სწრაფად გარდაიქმნენით — ასეთია ჩვენი ლოზუნგი იმ რაიონულ ორგანიზაციებისადმი, რომელთაც დღემდე ვერ უზრუნველყვეს პოლიტგანყოფილებებისათვის სრული შესაძლებლობანი შეასრულონ პარტიის დავალებანი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ნუ განიმორებენ პარტიის რუდნიანსკის რაიკომის შეცდომებს და ახსოვდეთ: **რასაც დასთესავ,** იმას **მომკი!**

დღეს გუშინდელი დღით, ცხოვრება, გეზის აღება სოფლის ხელმძღვანელობის **ძველ** მეთოდებზე უკანასკნელი საქმეა, რომელიც კარგს ვერაფერს მოიტანს. პოლიტგანყოფილება **უნდა გადაიქცეს და გადაიქცევა კიდეც საკოლმეურნეო სოფლის ნამდვილ პოლიტიურ ცენტრად.** სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონის საკოლმეურნეო უჯრედები იქცევიან ბრძოლებიან პოლიტგანყოფილებებს და ასრულებენ ყველა მათ დირექტივებს, რომლებიც დაკავშირებულ არიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საქმიანობასთან, ისინი, როგორც ამას ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებები. ასეთია პარტიის ნებისყოფა. **კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა უჯრედების მდივნების მოხსნის უფლება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონში ეკუთვნის პოლიტგანყოფილებებს,** მაგრამ თანხმობის გარეშე არ შეიძლება მოხსნილ იქნან მუშაკები ს

მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია

მსოფლიო პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

„მესაჯერო“

პარიზი, 15 ივნისი, გაზეთები აცხადებენ, რომ ამხ. ლიტვინოვის სიტყვა ეკონომიურ კონფერენციაზე განირჩეოდა ღრმა შინაარსით.

„განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია—წერს „მესაჯერო“,—საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის გამოსვლამ ლიტვინოვი ლაპარაკობდა ნათლად და ზუსტად. მან დაამტკიცა, რომ მისი მთავრობა ერთადერთია, რომელიც ამ კონფერენციაზე ნამდვილად ცდილობს ეკონომიური კრიზისის დაძლევას. ლიტვინოვის განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოზიცია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ზოგიერთ ქვეყანაშია შეძლებული ბევრ შემთხვევაში. ლიტვინოვის სიტყვა ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ შეიძლება ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა ორ ქვეყანას შორის, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური სისტემა აქვთ.“

„ეკო დე პარი“

პარიზი, 15 ივნისი. პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. ლიტვინოვის გამოსვლას ეკონომიურ კონფერენციაზე. გაზეთების უმრავლესობას მოაქვს სიტყვის შინაარსი. „ეკო დე პარი“ ამბ. ლიტვინოვის გამოსვლას უწოდებს „ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სიტყვას“ კონფერენციაზე.

„დერ ტაგ“

ბერლინი, 15 ივნისი. პრესაში მოკლედ მოყვანილია ცნობა ამხ. ლიტვინოვის გამოსვლის შესახებ ლონდონის კონფერენციაზე.

„დერტაგ“-ი ხაზგასმით აღნიშნავს: „ლიტვინოვმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ კონფერენცია ვერავითარ შედეგს ვერ მოაღწევს, თუ პოლიტიკურ ბოროტ ანგარიშებზე ხელის აღებამ არ შექმნა საფუძველი სამეურნეო მშვიდობიანობისათვის“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ საკითხში ამხ. ლიტვინოვის თვალსაზრისი ეთანხმება გერმანიის დელეგაციის თვალსაზრისს.

„რეინეშ ვესფალიშე ცეიტუნგ“

„რეინიშ ვესტფალიშე ცეიტუნგ“-ის (და სავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანო) ლონდონელი კორესპონდენტი განსაკუთრებით ჩერდება უდიდეს საბჭოთა დაკვეთების პერსპექტივაზე, რომელიც დასახა ამხ. ლიტვინოვმა, და სწერს:

„უფრო სერიოზული მნიშვნელობა აქვს ლიტვინოვის წინადადებას, რომელიც მიმართული არიან იქითკენ, რომ მოთხოვნილების შესაძლო გაფართოების „გზით შემსუბუქებულ იქნას საქონლით მარაგის უარყოფითი ზეგავლენა ბაზარზე, საბჭოთა ორა ტორმა მკაფიოდ და ნათლად გაშალა განვითარებულ მსჯელობათა წინაზე იმპორტის დამატებითი პროგრამის გეგმა ისეთი „წვრილმანი“ თანხის რაოდენობით, როგორიცაა 1 მილიარდი ღოლარი“ (დს).

„ტაიმს“

ლონდონი, 15 ივნისი. კონტრასტი ამხ. ლიტვინოვის კონკრეტულ და პრაქტიკულ წინადადებებსა და ჩემბერლენის და ხელების ზოგად ფრაზებს შორის იმდენად ცხადია, რომ პრესა, როგორც ჩანს, ორგა ნიზებულად ცდილობს მიჩქმალოს ამბ. ლიტვინოვის სიტყვა. მთელი კონსერვატიული პრესა სვეტებს უთმობს ჩემბერლენის და ხელების გამოსვლებს, ამბ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ კი ათასებს მოკლე ცნობებს, მხოლოდ „ტაიმს“-ი აქცევს სრულ ოფიციალურ ანგარიშს სიტყვის შესახებ. კონსერვატიული პრესა თავს იკავებს ამ ერთეულ სარედაქციო კომენტარებისაგან ამ სიტყვის მიმართ.

—ი—

ლიბერალური პრესის უფრო ვრცელი ად გილები მოყავს ამხ. ლიტვინოვის სიტყვი დან, ლიბერალური „ნიუს ქრონიკლ“-ი აც ხადებს, რომ ეს გამოსვლა წარმოადგენს „ყველაზე, კონკრეტულ და გულწრფელ მოწოდებას მოკმედებისაკენ, როგორსაც ეი აქამდის ადგილი ჰქონდა კონფერენცია ზე“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამხ. ლიტვი ნოვის გამოსვლამ დელეგატებზე კარგ შთაბეჭდილება მოახდინა.

„მანჩესტერ გარდიან“-იც აგრეთვე აღნი შნავს ხელსაყრელ შთაბეჭდილებას, რომ ლიც ამხ. ლიტვინოვის კონკრეტული ხასია თის სიტყვამ მოახდინა.

„დეილი ოურკერ“-ი ამხ. ლიტვინოვის სიტყვას უპირისპირებს ჩემბერლენის და ხელების განცხადებებს, რომელნიც გამოხა ტავენ „საგრაფეთის ეკონომიურ პოლიტი კას“ (ადს)

საბჭოთა დელეგაცია უერთდება რეზოლიუციას

ეკონომიური დროებითი ზავის შესახებ

ლონდონი, 15 ივნისი. ეკონომიური ბედლის ხასიათის მქონე ყველა მომჭირედ კანონმდებლობითი და ადმინისტრატიულ ზომების გაუქმების შესახებ რეზოლიუციის შეტანასთან ერთად, ამხ. ლიტვინოვმა ეკონომიური კონფერენციის თავმჯდომარის მადონალდის სახელზე გაგზავნილ წერილში აცნობა, რომ საბჭოთა კავშირი უერთდება რეზოლიუციას ეკონომიური დროებითი ზავის შესახებ, რომელზედაც მიაქციეს. მას აფასებენ, როგორც ერთადერთ კონკრეტულ და რეალურ წინადადებას, რომელიც კი ჯერ-ჯერობით შემოტანილ იქნა კონფერენციაზე. დიდი ინტერესით მოელიან მთელ რიგ დელეგაციების გამოსმაურებას ამ წინადადებაზე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რიუშდიუ-ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ თურქეთის დელეგაცია სავსებით უერთდება საბჭოთა წინადადებას (ადს).

მცირე ანტანტის ქვეყნების გამოსვლა

გრძელ აკულისებში

ლონდონი, 14 ივნისი. ეკონომიურ კონფერენციაზე ბენეშმა მცირე ანტანტის სახელით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალე ბი წარმოადგენენ ერთ-ერთ დაბრკოლებას ვალიუტების სტაბილიზაციისთვის. ვალების საკითხი საჭიროა, მისი სიტყვით, მოგვარებულ იქნას უახლოეს მომავალში, რადგან უამისოდ ფინანსების გაჯანსაღება ბევრ ქვეყანაში შეუძლებელი ხდება. ბენეშმა მოითხოვა ოქროს სტანდარტის რაც შეიძლება მალე აღდგენა და აღნიშნა, რომ მცირე ანტანტა მზადაა შეუთანხმებლივ სხვა სახელმწიფოებს საგალუტო შეზღუდვების გაუქმების შესახებ.

უნგრეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთის ეკსპორტის თანაბა რი თანხა ექნება მოთხოვნილების გაფართოების შემთხვევაში. ეკონომიური ზეგავლენა ბაზარზე, საბჭოთა ორა ტორმა მკაფიოდ და ნათლად გაშალა განვითარებულ მსჯელობათა წინაზე იმპორტის დამატებითი პროგრამის გეგმა ისეთი „წვრილმანი“ თანხის რაოდენობით, როგორიცაა 1 მილიარდი დოლარი“ (დს).

ბენეტი შეშფოთებულია

ლონდონი, 15 ივნისი. დილის სხდომაზე კანადის წარმომადგენელმა ბენეტმა საკმაოდ ცუდი შეშფოთებით აღნიშნა, რომ „ერთ-ერთმა დელეგატმა ამ ტრიბუნი დან გამოსთქვა აზრი, თითქოს, კრიზისის მიზეზია თით კაპიტალისტური წესწყობილება“. კონფერენციის დელეგატებისათვის დარიგებული მსჯელობათა წინაზე ეკონომიური დროებითი ზავის შესახებ მთელი კონფერენციის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მას აფასებენ, როგორც ერთადერთ კონკრეტულ და რეალურ წინადადებას, რომელიც კი ჯერ-ჯერობით შემოტანილ იქნა კონფერენციაზე. დიდი ინტერესით მოელიან მთელ რიგ დელეგაციების გამოსმაურებას ამ წინადადებაზე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რიუშდიუ-ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ თურქეთის დელეგაცია სავსებით უერთდება საბჭოთა წინადადებას (ადს).

საბჭოთა დაკვეთების უდიდესი მნიშვნელობა

(ტელეგრაფით „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტისაგან)

ბერლინი, 15 ივნისი. გერმანიის პრესა დიდ თავშეკავებას იჩენს ამხ. ლიტვინოვის მიერ მსოფლიო ეკონომიურ კონფერენცია ზე წარმოთქმულ სიტყვის შეფასებაში. გაზეთები ამ სიტყვას თითქმის სრულებით არ უკეთებენ კომენტარიებს: მხოლოდ ცალკე გაზეთები, ბეჭდავენ რა ინფორმაციას სიტყვის შესახებ, უკეთებენ ცალკე შენიშვნებს, რომელთა შორის ზოგიერთი ანტისაბჭოთა ხასიათისაა.

ჰუგენბერგის „ლოკალ ანცეიგერ“-ი, გადმოგვცემს რა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შინაარსს, წერს:

„მისი სიტყვა წარმოადგენდა მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის მოხერხებულ პროპაგანდას და იმ სავაჭრო იმედ ირონიულ შეფასებას, რომელიც პოლიტიკური მიზეზების გამო დაიწყო თნგლისმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“

„ტეგლიხს რუნდშაუ“, რომელსაც მოჰყავს ამხ. ლიტვინოვის სიტყვა და კრძოდ მისი ის ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია საჭონელი, რომლის შეტანაც შეუძლია საბჭოთა კავშირს ამ შეკავების პირობებში, ხაზგასმით ათავსებს შემდეგ ფრაზას:

„ამ დაკვეთების მნიშვნელობა აშკარა ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა ისინი შეადგენენ თანამედროვე მსოფლიო დაკვეთების დაახლოებით 25 პროცენტს“.

„რეინიშ-ვესტფალიშე ცეიტუნგი“ ამხ. ლიტვინოვის სიტყვის გადმოცემაში აღნიშნავს, რომ მისი წინადადებები სერიოზული ხასიათისაა და მიზნად ისახავენ „კონფერენციის პროგრამის შემსუბუქებას იმ საქონლების მოხმარების მაქსიმალურად გაფართოების გზით, რომლებიც ამჟამად თავისი სიჭარბით დამძიმებელ გავლენას ახდენენ მსოფლიო ბაზარზე“. აღნიშნავს რა იმ პირობებს, რომლებშიაც შეიძლება გაფართოებულ იქნას საბჭოთა იმპორტი, გაზეთი დასძენს: „თუ ეს შეიცავს ფარულ იერიშს ინგლისში საბჭოთა საქონლის შეტანის აკრძალვაზე, ლიტვინოვმა კიდევ უფრო ნათლად გამოხატა თავისი აზრი, როცა, ეკონომიური დროებითი ზავის ძირითადი იდეის თანახმად, მან მოითხოვა, რათა ამ დროებითი ზავის ცნებაში შეტანილ იქნას ყველა იმ არსებულ ღონისძიებათა გაუქმება, რომელნიც წარმოადგენენ ეკონომიურ ომს“.

ჩერნიაკი.

რესპუბლიკანური კულტპროპთათბირი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, მარქსიზმ - ლენინიზმის ინსტიტუტის სხდომის დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკანურ კულტპროპ - თათბირი, რომელსაც ესწრებიან პარტიი'ა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების კულტ პროპები და რაიგანათლების განყოფილებათა გამგეები.

თათბირი გახსნა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპაგანყოფილების გამგემ **ამხ. კ. ორაგველიძემ.**

თათბირმა მოისმინა ამხ. **ორაგველიძის** მოხსენება „მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მდგომარეობა საქართველოში, საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის თვალსაზრისით“ და საქ. ალკ კავკას მდივნის **ამხ. გიორგობიანის** მოხსენება კომკავშირული სწავლების შედეგების შესახებ.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. **გეგენავა (სენაკი) და კვარაცხელია** (ზუგდიდი).

თათბირის მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე და გაგრძელდება კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

თათბირი მოისმენს აგრეთვე ამხ. **ბედიას** მოხსენებას დაწყებითი და საშუალო სკოლების საკითხებზე და ამხ. **ბარამიძის** მოხსენებას აგიტპროპაგანდის შესახებ.

ავლაბარში იგება თეატრის ახალი შენობა, რომელიც დაიტევს 1.200 მაყურებელს. თეატრი მზად იქნება მომდინარე წლის სექტემბერში.

სურათზე: ზევით—თეატრის მშენებლობა, ქვევით — თეატრის მაკეტი.

სუბტროპიკული კულტურების კომიტეტი

იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული კულტურების რაიონები რაციონალურად გამოყენებულ იქნან სახალხო მეურნეობის საჭიროებათათვის, ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭომ დაადგინა მოეწყოს შრომის და თავდაცვის საბჭოსთან სუბტროპიკული კულტურების საკავშირო კომიტეტი.

კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. **ა. მ. ლეჟავა**

სპარსული მხატვრობის გამოფენა

20 ივნისს ეროვნულ გალერეის შენობაში (რუსთაველის პრ. 13) გაიხსნება **შახ-აბას პირველის** (1586—1629წ.) ისფაჰანის სასახლის („აღ ა კანუ“) ფრესკების ასლების გამოფენა. ფრესკების ასლების გადაღება შესრულებულია მხატვარ **მ. მღებრიშვილის** ტარკულოვას მიერ.

მუშაობა, რომელიც ჩაატარა მხატვარმა მ. მღებრიშვილმა—ტარკულოვამ სპარსეთის მონუმენტალური მხატვრობის გადმოღებაში არის არა მარტო ახალი საქმე, არამედ პირველი მცდელობა ცდა სპარსეთის ხელოვნების ნაწარმოებთა ფიქსაციის დარგში. მუშაობა მხატვარმა ჩაატარა ადგილობრივ—სპარსეთში.



სასამართლო

მუშათა გამომგონებლობის ჩამხშობნი დასჯილნი არიან

ა.-ქ. რკინის გზის სატრანსპორტო სამართლით დაამთავრა მუშათა გამომგონებლობის ჩაახშობთა (**ინჟ. კურდღელაშვილის, ინჟ. ქავთარაძის, ინჟ. თაქთაქიშვილის და სტრეპეტოვის**) განსამართლება.

სასამართლოს, პროკურორ ბრალდებულება დაუმტკიცდათ წაყენებული ბრალდება იმაში, რომ ისინი ბიუროკრატიულად მოეკიდნენ ავტ. **ცინცაძის** და **მგელიანის** წერილებს ფრიად მნიშვნელოვან მოვონებების და არ მისცეს მათ განკარ ბრალდებულების და მოწმეების დაკითხვიდან და მხარეთა კამათიდან გამოირკვა, რომ ა.-ქ რკ. გზის მუშათა სამგომგონებლო სიგზათ ბიუროში ადგილი აქვს მრავალ უსწორობას. არის შემთხვევები, როდესაც ბიუროს წევრიც უარს ამბობს გამომგონებებს და მუშათა რაციონალიზატორულ წინადადებას, რომ ლების განხორციელება ტრანსპორტა ბის სასარგებლოა, ბიუროო გამოგონებათა უმეტეს ნაწილს უყურადღებოდ სტოვებს.

სასამართლომ საქმებით დამტკიცებულად სცნო ხსენებულ პირთადმი წაყენებუ ლი ბრალდება საქ. ს. ს. კოდექსის მე-117 მუხლის მიხედვით, რაც თავისთავზე იტყვის რომ წლით თავისუფლების აღკვეთას ეროვნულ ვის.

ინჟ. **კურდღელაშვილს** მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც შეეცვალა ერთი წლით პირობითი სასჯელით და ერთი წლის იძულებითი მუშობით. ინჟ. **ქავთარაძეს** და ინჟ. **თაქთაქიშვილს** მიესაჯა ერთი წლის იძულებითი მუშობა, სტრეპეტოვს 6 თვით იძულებითი მუშობა.

ოფიციალური განკარგულება

დადგენილება № 24.

საქ. შრომის სახ. კომისარიატისა

მიღებამოშენობათა აღ რიცხვის შესახებ

მიღამომშენობათა ზუსტად აღრიცხვის მიზნით საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციას, რომელნიც იმყოფებიან საქ. სსრ და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქების ტერიტორიაზე დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა 3 დღის განმავლობაში წარმოუოდგინოს საქ. შრომის სახკომსაბჭოს აღრიცხვის კომისარიატებსა—რაიონ ან ქალაქ პასუხისმგებლობის ქვეშ, მათთან არა თავის სპეციალობის მიხედვით მომუშავე მიღამომშენობის მიღამომშენობის დარაჯის უმაღლესი სასწავლებლები, ტეხნიკუმები ან კურსების და სტატუ სკოლები, და რომელთაც აქვთ მიწადმოშენობის პრაქტიკული სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა.

2. წარმოდგენილ ცნობებში აღნიშნული უნდა იქნეს შემდეგი:

ა) საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაციის სახელწოდება და მისამართი;

ბ) მუშაკის გვარი, სახელი და მამის სახელი;

გ) დაბადების წელი;

დ) სპეციალური განათლება (რომელი მიღამომშენობის სასწავლებელი დაამთავრა და როდის);

ე) მიწადმოშენობის დარგში მუშაობის სტაჟი (რომელ ორგანოებში და როდის მუშაობდა);

ვ) ამჟამად დაკავებული თანამდებობა.

3. რაიშრომის ინსპექტორებს წინადადება ეძლევიან თვალყური აღევნონ ამა დადგენილების დარღვევა პირნი შესრულებას და დაუყონებლივ მისცენ პასუხისგებაში.

საქ. სსრ შრომსახკომი ლ. მორჩილაძე.
შრომ. სახკ. კოლეგიის წევრი კანდრის სექტორის გამგე ციცავი.

კარტიული და საბჭოთა კანონდები

20 ივნისს, საღ. 6 ს. (სტალინის ისხ. შენობაში—ლენინის ქ. 16) შესდგება ძველ ბოლშევიკთა საზ-ბის წევრთა კონფერენცია. დღის წესრიგი:

1. მოხსენება პარტწევნების შესახებ. (მომხს. ამხ. დოგადოვი).
2. დელეგატების არჩევა სრულიად საქ. ძველ ბოლშ. საზ-ბის კონფერენციაზე.
3. ახალი წევრების დამტკიცება.
4. მიმდინარე საკითხები

საზ-ბის მდივანი მ. კვარაცხელია.

—ი—

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება ეუწყება, რომ სურამისა და ბორჯომის ეელეონორა, ლეკი, ნინა, ბიძია ფილიმონი იუწყებიან, რომ 18 ივნისს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მათთვის დაუვიწყარი

ნონა (ცოტნა) მაღნარაძის

სამოქ. პანაშვიდი. 987

სოფიო, ნინო, კოტე და შაქრო ჭელიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დედა

ეფემია პაპალეს ას./ჭელიძისა

დაკრძალვა ქ. თელავში, 16 ივნისს. 986

დამწუხრებული მეუღლე პასიკო, შვილები ოსიკო, გიორგი, რაჟდენი, ლოუბა, პაშა, რძლები პასიკო, ქსენია, შვილიშვილები ჯოზეფინა, რეზიკო, მერი იუწყებიან ძვირფას

ბესარიონ სანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 ივისს ქვითირში. 1007

დამწუხრებული მშობლები, ძაები დიომიდე, ესტატე, პაოლონი, ზურონი, დებით, რძალი ნადია, სიძეები ალექსანდრე, ივანე იუწყებენ ნათესავ და მეგობრებს

ჯოსიმე კლატონის-ძე კაშმაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 ივნისს, ბაშში. 1007

დამწუხრებული ცოლი ესმა, შვილები სამუელი, ევტიხი, ივანე, რძლები ვარდო, ნინა, ოლია შვილებით, ვარდამის შვილები გრიშა, ფაცია იუწყებენ მეგობრებს

ლოვინ მარაბის-ძე ნაცვალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ასკანაში, 18 ივნისს. 1010

გულდამწვარი მშობლები დესი ა, დიმიტრი შვილებით—შვილის-შვილებით, დეიდები ოლია, ფაქიზა, ელენა, ბიძები იასონი, ბაალომე იუწყებიან, რომ 17 ივნისს აბაშაში დანიშნულია დაუვიწყარი

კოლია და ვორაჟიკ ფულეისკირების

სამოქალაქო პანაშვიდი. 992

დამწუხრებული მეუღლე ოლა. შვილები ტარიელი, სონა, თამარა, მარო, სანა, ავთანდილი, ამირანი სიღნაღიდან და სიღნაღის, იუწყებიან, რომ 18 ივნისს 7 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

გიორგი კოკბაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, 992

ესტატე საყვარელიძეს შვილები აგრონომი მიხეილი, გიორგი, ივანე, ილარიონი, ნატალია ბიზანიშვილისა, ნინო ყოლთოშვილი ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი ბიძის

დავით სოლომონის-ძე კონტრაქტორისა

გარდაცვალებას. ჯამოსვენება დღეს 5 საათ. სამების შეს. № 4. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. 14

ძმები ხესტორი, მიხა, შალიკო, ვალიკო, რძლები დარიკო, დომინა, თინა. ძმისშვილები პოლიექტორი, ანხორი მწუხარებით იუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს

პარმენ აბაიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდა სოფელ კიკაბუაში

ბებია მარიამი, მშობლები ვიქტორი და დარო, მამიდა ქსენია, და ტუსა, დეიდა ნინა ურუშაძე იუწყებიან, რომ 18 ივნისს 6 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია

ქეთო ყარჩიას

სამოქალაქო პანაშვიდი. 990

დამწუხრებული და ვირიჩქა, ქმარი ალექსი, შვილები ოლიმპია, ერმილე, გრიშა, კოტე კობახიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

დავითი ფიქანის-ძე ბენდუქიძე

გამოსვენება 17 ივნისს, 4 ს. ორჯონიკიძის ქ. № 63 კუკიის სასაფლაოზე. 983

მეუღლე დავითი, შვილი თეიგაზი, დეიდა ვერა, ბებო კატო, დედამთილი ანეტა ყიფიანები, მამა სერგო, ძმა გიორგი ღამბაშიძეები იუწყებიან, რომ 18 ივნისს 6-ნახ. ს ვერის სასაფლაოზე დანიშნულია

ელენე ღამბაშიძე-ყიფიანის

სამოქალაქო პანაშვიდი. 993

თავხარდაცემული დედა ლიზა, ბიძა აბესალომი, ბიცოლა ქეთევანა და თამარა ორაგველიძეები, სიძე ვლადიმერ იმნაიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასს

ჟორჟიკა ორაგველიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 ივნისს 15 ს. სოფ. შუხუთში. 12

ამხ. ფ. მახარაძის სახ. სას. სამ. კოლმეურნეობის გამგეობა და წევრები იუწყებიან, რომ 18 ივნისს 7 ს. კოლმეურნეობის კლუბში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი გამგეობის ყოფილ წევრის

მიშა ანტონის-ძე ოჩიგავას

ხსოვნის აღსანიშნავად. 6

„სოიუზხავაოტკოპა“-ს საქართველოს კანტორის ადმინისტრაცია მწუხარებას გამოსთქვამს ძირფასი ქსელის აქტიური მუშაკის ზუგდიდის დამამზადებელ პუნქტის გამგის ამხ,

სამსონ ჯგუშიას

უდროოდ დაკარგვის გამო 998

საქ. ფინსახკომი და საქ. შემსალაროების სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომელ სონია თევზაძის მამის

ალექსი კარპეს-ძე თევზაძის

გარდაცვალების გამო. 980

მწუხარებით გულმოკლულნი ქსენია ხუროაბის ასული ხვიჩია, ნინო ოქროპირის ასული და ვლადიმერ დიმიტრის-ძე ხოფერია იუწყებიან საყვარელ სიძის

არხიპო როსტომის-ძე ლომაიას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ჩაქვში 18 ივნისს. 3

სამუდამოთ დაჩაგრული მშობლები ნოე და მარგალიტა დასტიროიან ერთად-ერთი იმე დის პატარა

ლეილა მიქაშავაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 18 ივნისს ბათომის ქ. № 26. საღ. 5 საათზე. 999

უახლოესი ბუღობები შალვა დეკანოზია, შალვა ხარებავა, გალაქტიონ შოგირაძე, გ. კუჭავა, მ. ძიგრაშვილი იუწყებიან სპ. სუბტროპიკულ ინსტიტუტის უანასკნელ კურსის სტუდენტს

ვლადიმერ (ბოჩო) ადამიას

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს 4 ს. მიხ. საავადმყოფოდან, დასაფლავება ქ. ზუგდიდში. 1

სახელმწიფო თეატრი

სსრკ სახ. არტ ოპერისა და ბალეტის

სახალხო და დამსახურებულ არტისტთა მიერ წარმოდგენილი იქნება 18 ივნისს

გრიგოლ-დიმის „ქიმა“ ორანჟერიობა ჭ. დადიანის

ტრაგედია 3 მოქმედებათ.

ძიძის როლს შეასრულებს რესპ. დამსახ. არტისტი

ნინო ჩხეიძე

დასაწყ. 8 ნახ. ს. ბილეთები თეატრის სალაროში. 912

სახელმწიფო

სახალხო კინო-თეატრები:

დამკვრელი 9, 11.	მის-მენდ მე-2 სერია პრ. გარ.—საბჭოთა სქ. № 6.
ეთერი 9, 11	სახლეარა, ფ. მწვანე შესახვევი პრ. გარეშე—საბჭ. საქართვ. № 7.
ტემპი ახ. ტ. სახამ. ერთდროულათ	სათავგადასავალო ფილმი II ეშმაკი
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	ამერიკული კომედია მფრინავი ბედნიერება
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11.	მის-მენდ მე-2 სერია პროგ. გარეშე—საბჭოთა სქ. № 6.
რ. ლიუქსემბურგის 7, 9, 11	გაზმ. მოლაპ. ფ. 1500 მეტრ. სიმაღლეზე პრ. გარ —გაზმ. საბჭოთა ხელოვნება
ოპერეტა 6-30, 8-30, 10-30.	სათავგადასავალო ფილმი მის-მენდ 1 ლი სერია
საბავშო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშო ფილმი ვანკა და შუკრის მაძიებელი
მეცნიერება ჭ ტექნიკა 8, 9-30	სამეცნიერო ფილმი საქართველოს კურორტები

17 ივნისი 17 ივნისი

სახ. კონსერვატორიის დარბაზში

მეორე სახ. მუზტეხნიკუმის პროფკომი მართავს

დიდ კონცერტს

ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის მასახიობის **ი. ა. ნეჩაევის**

და ტეხნიკუმის პედაგოგების—**რამონოვსკაიას, ევტიხევას, რეინგანის, ვ. ხვალაძის,** სახოპერის და საქმეილის მსახიობთა **გლაგოლინას, გილბერტის, ინავილის, ხ. ნინუას, პრეისის, ხუნანაზიანის** და სხ. მონაწილეობით.

დასაწყისი სალამოს 9 საათზე.

ბილეთები შეძენილი 10 ივნისისთვის, გამოდგება 17 ივნისს.

დარჩენილი ბილეთები იყიდება სახ. კონსერვატორიაში. 570

2—2

მალე!

სახკინმრეწვის უდიდეს თეატრში

სერაპიონ ციხე

(ახალი ეკზემპლიარი)

თვალყური ადევნეთ რეკლამას.

695

ტფილისის აგრეშუმის საკავშირო ფაბრიკის დირექცია

იუწყება, რომ 25 ივნისიდან აფუძნებს 3 თვიან

პროფკურსებს

მძღოლების და სპვ. პროფესიის მუშაკთა მოსამზადებლად

კურსებზე მიიღებიან განსაკუთრებით ქალები 18 ან 35 წლამდე.

სწავლების პერიოდში კურსანტებს მიეცემა სტიპენდია თვიურად 45 მან. რაოდენობით და მომარაგების დარგში გათანაბრებული იქნებიან მუშებთან. ბავშიანი ქალები უზრუნველყოფილნი იქნებიან სბავშო ბაგით. კურსანტებს საცხოვრებელი ბინა არ მიეცემათ.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სოც. მდგომარეობის და განათლების მოწმობა. მიღება სწარმოებს 20 ივნისამდე (ჩათვლით). მისამართი—ლენინის ქუჩა № 75, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

დირექტორის მოადგილე **მაღლაფერიძე.**

2—2 442 კადრების სექტორის გამგე **მელქაძე.**

საქ. სარეწ. კოოპ. სატრანსპორტო კავშირის ესაბჭოება

ფინანსისტი, პრესკომისტი-მეთვალყური, მკრებლისტი მოსაძიებლად

დარგში.

გამოცხადებულთ თან უნდა ჰქონდეთ მოწმობა უკანასკნელი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

მისამართი—სიონის ქ. № 13. 985

ეჭიმი

ნ. ი. ანდრეევა

შინაგანი სნეულ., სპეც. გულის სნეულებ., ჯირკვლების ავადმყ. მკურნალობა (კვარც ლამპა). ღებულობს სალ. 3—6 ს. ელბაქიძის (ყოფ. ვერის დაღმართი 29, ყოფ. ვერის ხიდთან) ტელ. 78. 13—11

ა/ქ რაიდამზღვევი სალაროს ამით აცნობებს ამავე სალაროს ყველა ვენსიონერებს საყურადღებოთ, რომ 18 ივნისს, დღის 11 საათზე, ორჯონიკიძის სახ. კლუბში შესდგება

პენსიონერთა საერთო კრება

ყველა პენსიონერების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებელ.

დღის წესრიგი: 1) პენსიონერთა ყოფაცხოვრების კომისიის სანგარიშო მოხსენება, 2) კომიტეტისა და დამხმარე სალაროს დელეგატების არჩევნები 3) მიმდინარე საკითხები.

1000 რკ. გზ. რაისალაროს.

მანქანათ-მშენებლობის კანტორის უმაღლეს სასწავლებლებისთვის მოსამზადებელ კურსებში განაგრძობს მიღებას ძართულსა და რუხულ სექტორზე.

კურსები მოთავსებულია ამხ. კამოს სამ.-სამ. (ფ. 3. უ.) სკოლაში და უზრუნველყოფილია საუკეთესო სამეცადინო პირობებით.

ცნობათა გაცემა წარმოებს ყოველდღე დილ. 11 ს.-დან სალ. 9 ს-მდე.

მისამართი: ბებელის (ყოფ ეკზარხოსის) მოედ. № 3, ამხ. კამოს სამ.-სამ. სკოლა (ფ. 3. უ.).

2—1 1013 დირექცია.

სამ. ტრამტროკონტრაქტის კანტორის განყოფილება

აცნობებს, რომ მას ესაბრიოება ცენტრალური ავარიული ბრიგადის სამუშაოებზე

ტრანსპორტირების მცდნე

გამოზიდული გუმგალტერიის.

მსურველნი პირობების გასაგებად უნდა გამოცხადდენ ივანგულოვის ქ. № 2, მე-3 ე სართული, ოთახი № 8, ტრაქტორიტების ქადრების განყოფილებაში ამხ. კუბასვილთან.

444 საქ. ტრაქტორცენტრი.

ცნობა დაინტერესებულ ორგანოთა განიზიაციათა და პირთა საქართველოს მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისრის ბრძანებისა № 135 მიხედვით ქუჩაზე მდებარე ქეიჩის ფაბრიკა, რომელიც შედიოდდა ტყავეტრესტში, გადმოვიდა საქართველოს საფეიქრო ტრესტის შემადგენლობაში.

საქ. სფ. ტრესტის მმართველი. 6. 94 ლი დ. ი. რუხაძე.

საქართველოს სარეწ. კოოპერაციის სატრანსპორტო კავშირი აცნობებს ყველა ყოფილ თანამშრომელთა საყურადღებოთ,

რომ ვადა სახელმწიფო სესხის „მეოთხე დამკვათავეგებელი ღლის“ ობლიგაციების დარიგების არის 1933 წლ. 1-ლი ივლისი, რის შემდეგ ობლიგაციები გადაეცემა შემნახველ სალაროს. 985

განათლ. სახკომისარიატის ნებართვით ზაფხულში

ვამზადებთ მოწ